ივერია

1877—1891 საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი 1877—1891

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, აგშლილს ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განცყოფილებას, სათავად-აზნაურთ ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

ახალი სტამბა

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში,

იქ, სადაც **„ივერიის“** რედაქცია იმყოფება, გაიმართა სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფულ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

ყოველ გვარს სასტამბო საქმეს ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე

სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.

სასწავლებელი და პანსიონი

სპ. ბ. ჯოლოჯიკიასი.

(ქუთაისში)

პირველ სექტემბრიდგან პანსიონერებს მიიღებს წლიურად 180 მანეთად. გარედგან მოსიარულეთაგან აიღებს თვეში სამ-სამს მანეთს მოსამზადებელს და პირველს კლასში მომზადებისათვის. ყმაწვილებს ამზადებს გიმნაზიისა, პროგიმნაზიისა, რეალურ, სამოქალაქო და სხვა სასწავლებლის **ყველა კლასისათვის.** ზაფხულშიაც ქუთაისში რჩება. (13—7)

ახალი ამბავი

*** უმაღლესად ნაბრძანებია, წელს სამხედრო სამსახურში კავკასიის ადგილობრივ ჯარების შესავსებლად რამდენი კაცი უნდა გაიყვანონ. მთელს კავკასიაში—ყუბანისა და თერგის მხარეში და ამიერ კავკასიის გუბერნიებსა და ოლქებში—სულ უნდა გაიყვანონ ორი ათას ოთხასი კაცი; ამათს რიცხვში ასი ოსიც ურევია, რომელთაც თერგის მხარეს ყაზახის პოლკებში უნდა იმსახურონ.

ზემოხსენებული რიცხვი, ორი ათას ოთხასი კაცი, უნდა გაიყვანონ 28.474 სულზედ. ამათგან ტფილისის გუბერნიაში (ზაქათალის ოლქიც აქ იგულისხმება) ნაანგარიშევია სულ 7.994 კენჭში ჩასაგდები კაცი. აქედამ სამსახურში უნდა ჩარიცხულ იქმნას 667 კაცი; ქუთაისის გუბერნიაში—8.678 კაცი, სამსახურში ჩარიცხული იქნება 725 კაცი.

დანარჩენ ადგილებიდამ — ბაკურის გუბერნიიდამ გაიყვანენ სამსახურში 322, ერევნის გუბერნიიდამ—495, ბაქოს გუბ.—41 და თერგის მხრიდამ—100 ოსს და 7 ებრაელსა და სხვა-და-სხვა სჯულის კაცს.

*** ტფილისის პოლიციას ცნობა მოუვიდა რაღის მაზრის უფროსისაგან, რომ ამ მაზრის სოფ. გომის მცხოვრებელმა გიორგი გაკაშლიშვილმა თავისი მოგვარე პეტრე გაკაშლიშვილი მოჭკლა და თვითონ სადღაც გადაიხვეწა.

*** მას აქედ, რაც ებრაელებს აღუკრძალეს ცხოვრება რუსეთის სახელმწიფოს ზოგიერთს ადგილში, ებრაელები ძალა-უნებურად იმ ადგილებს მიაწყდნენ, სადაც მთავრობა არ უშლიდა დაბინავებას. ებრაელთა შორის ბევრნი ღარიბიც აღმოჩნდნენ და დიდს გაჭირვებაში ჩაცვივდნენ. ეხლა ადმინისტრაციის ერთ-ერთს წარჩინებულს პროექტი შეუდგენია იმის შესახებ თუ რა უბედურება წარმოსდგება იმისაგან, რომ ღარიბი ებრაელები მჭიდროდ ესახლებიან ზოგიერთს ქალაქსა და დაბაში. ეს პროექტი შემდგენელს წარუდგენია რუსეთის მთავრობისათვის და უმტკიცებს თურმე, რომ ამ გზით ხალხი დიდს გასაჭირში ჩავარდება და მის ასაცდენად საჭიროა, ნება მიეცეს ებრაელთ, იმდენი მიწა შეიძინონ, რამდენიც დაწესებულია გლეხისათვის „ნადელად“, რომ ამ ნაირად ებრაელთ მიწად-მოქმედება დაიწყონ და ახალ-შენები გააშენონ.

მთავრობას არ შეუწყნარებია ეს პროექტი იმიტომ, რომ ნაკადი გვყავს ებრაელები და მიწის მუშაობაში არ ვარგანანო; ამას გარდა, მიწის შეძენის ნება რომ მიესცეთ ებრაელებს, თუნდაც „ნადელის“ ოდენასიცაო, ხელ-ახლად მიეტანებიან სოფლებს და კვლავ ბლომად დასახლდებიან იქაო.

*** რამდენიმე დღე ტფილისში სტუმრად იყო სამგზავრელოდამ ჩამოსული პრინცი მიურატი თავისის შვილებითურთ. გუშინწინ პრინცი ქალაქიდამ ისევ დაბა ზუგდიდს გაემგზავრა.

*** დღემდე ღირსება-ახდილი და ციმბირში გაგზავნილი მოკლებული იყო ცოლის შერთვის უფლებას. დღეს ახალი პროექტია ამის შესახებ შედგენილი. ამ პროექტით შემდგომში ყველას, ვინც-კი ღირსება ახდილია და ციმბირში გადასახლება აქვს მასაჯული, ნება აქვს კანონიერი ცოლი შეირთოს. ნება აქვს აგრეთვე ჯვარი დაიწეროს, ვინც ციმბირში გადასახლებულს მეუღლეს არ მიჰყვება. ყველა ეს შემდეგის წესით უნდა მოხდეს: ციმბირში გადასახლებული ღირსება-ახდილი ვაჟი, მივა თუ არა დანიშნულს ადგილს, უნდა გამოუცხადოს ადგილობრივს კონსისტორიას სურვილი, განქორწინებისა; ამასთანავე უნდა წარადგინოს სასამართლოს გადაწყვეტილების პირი და თავის მეუღლის ხელწერილი, რომ მართლა არა ჰსურს ციმბირში გაყოლა. ვისაც არა ჰსურს ციმბირში გაჰყვეს თავისს მეუღლეს, გოაცება, იქნება სიძულილიც იყოს მიზეზი, ან ბუნება, ვინ იცის, მაინც ამ დღეს გულს გადაგიბრუნებთ რაღაცა და აგიშლებათ ცნობის-მოყვარეობა... სურვილი... ერთის სატყვით, სიყვარული, ესე იგი ნაპერწყალი! აი სწორედ ეს ნაპერწყალი აკლია მარიკოსაც.

ქეთევანი. შენ გაიჩინე-რა, რის ნაკვერჩხლაძე ხარ, თუ პაწია ნაპერწყალსაც ვერ გაიჩენ?

ნაკვერჩხლ. განა არ ვეცადე, მაგრამ რომ არა გამოვიდა-რა! ისიც ღმერთმა იცის, ექნება-კი როდისმე ეს ნაპერწყალი... იცოდე, ზოგიერთი დედაკაცია, თავის დღეში არცა ჰქონია და არც ექნება ნაპერწყალი... შენ, მაგალითებრ, განხორციელებული სიწყნარე ხარ და...

ქეთევანი. თუ ღმერთი გწამს, ისევ მარიკოს შესახებ ილაპარაკე, მე თავი დამანებე.

ნაკვერჩხ. რა ეშმაკით გავაჩინო ეს ნაპერწყალი? რა ხერხი ვიხმარო, რა საშუალება ვცადო? სიძულილი?.. ყველას მოძულება ხომ ისე ადვილი არ არის. დიდ-სულოვნობა? ხომ ჰნახეთ, რომ ესეცა ვცადე და არ გასჭრა.

ქეთევანი. სიბრალული-ღა დაგრჩენიათ.

ნაკვერჩხ. კარგია, ქმარა ხუმრობა, ქეთევან!..

ქეთევანი. პოეზია? ბუნება?

ნაკვერჩხ. მაგ სიცილს ისევ ისა სჯობია, დამეხმარო და გზა რამ მაპოვნინო... ხომ არის ისეთი საშუალება, რომ ქალს თავი შეაყვაროს კაცმა... ყოველთვის არის, თუ ერთი არა, მეორე გასჭრის ხოლმე, თუ მეორე არა, მესამე.

ქეთევანი. ვითომ?

ნაკვერჩხ. მე ხომ შენ შესახებ არ ვამბობ... შენ სულ სხვა ხარ! რა ვიცი, მე ჩემი ვქენ და შენი გული-კი ვერ ავაძგერე-და. მარიკოს-კი... ვიპოვნი... უეჭველად ვიპოვნი... მერე შენც დამეხმარები... არა, ხომ დამეხმარება?

ქეთევანი. (დაცინვის კილოთი) რა საკვირველია!

ნაკვერჩხ. თუ რომლისამე მიზეზის გამო შენ თითონ წინააღმდეგი არა ხარ...

ქეთევანი. რაო? რას ამბობ, რა

ფელეტონი

ნაპერწკალი

კომედია ერთს მოქმედებად პალიერონისა

(ქართულის სცენისთვის გადმოკეთებული)

სცენა III*)

ნაკვერჩხლაძე და ქეთევანი

ნაკვერჩხ. (აღტაცებით) რა საუცხოო არსებაა! სწორედ მაგაზედ არის ზედ გამოჭრილი პოეტის სიტყვები:

ბაწაწა, ცელქი, ხუჭუჭა,
თვალ-ყურუნა და კისკისა,
ფრთან-დასითული ბეჭედა,
ვარდ-კოკორი მაისისა.

ამის დამწერს თითქოს სცნობია ეგა და მაგისთვის მოუწერიაო, ისეა ზედ გამოყვანილი! შენ-კი გგონია, ვითომ შესაძლებელი იყოს და არ მიყვარდეს ეს თვალთ-წარმტაცი ბავშვი! არა, არა, მიყვარს, ისე მიყვარს...

ქეთევანი. რომ მაგრე არაგინა გყვარებია, რაღა თქმა უნდა? მერე რა ვქნათ, შეირთე...

ნაკვერჩხ. კარგი, მაგრამ ჯერ უნდა შეეუყვარდე...

ქეთევანი. ვითომ ძნელი იყოს შენ-თვის ყმაწვილის ქალის მოხიბლვა და იმის გული სიყვარულის აღძვრა!.. მერე ისიც შენთვის, რომელსაც ქალები თაფლსავით გეკვრინან!..

ნაკვერჩხ. დამცინე, დამცინე!.. მაგ პაწია გოგონას მაგიერ, რომელიც თავისის კისკისით, გულ-წრფელობითა და სიცელქით დავთარს მიბნევს, სხვა რომ იყოს... დედაკაცი... არაფერი გამიკირდებოდა... გარწმუნებ. არა გჯერა?

ქეთევანი. პირ-იქით, მჯერა, დარწმუნებული ვარ.

ნაკვერჩხ. თუ ღმერთი გწამს, აქაოდა მე ცხვირიდგან ავიცილეო, ყველასაგან მოძულებული ნუ გეგონები.

ქეთევანი. ღმერთმა ნუ ჰქნას, რას ამბობ! შენისთანა ხერხიანს ვინ მოიძულებს!

ნაკვერჩხ. ხერხიანიცა ვარ და გამოცდილიც... მაგრამ, ხომ ჰხედავ, ჯერ ბავშვია, არა იცის-რა, არა ესმის-რა, არასა ჭვრძნობს-რა და მასთან ამა ან რა გამოცდილება გასჭრის და ან რა ხერხი. ჯერ ერთი, რომ მარიკოს ნაპერწკალი არ უღვივის...

ქეთევანი. ეგ რაღაა?

ნაკვერჩხ. ნაპერწკალი? ეს ის არის, რომ როცა ყმაწვილს ქალს... ან დედაკაცს ჯერ კიდევ... ჯერ ისევ... ელექტრონის მაშინა ხომ იცი, რაც არის?..

ქეთევანი. ორი ფიცარია...

ნაკვერჩხ. და ლიფონის მავთული... ერთიც შუშის რგოლი, რომელიც ტრიალებს. სანამ არ დაგიბრუნებია, ჰხედავ, ხელსაც ახლებ, მაგრამ არაფერს-კი ირძნობ; მართალიც, ხეა და მავთული, სხვა არაფერი... მაგრამ აბა გადაატრიალე, მიუახლოდი და ლურჯს ნაპერწკალს დაინახავ. არ იცი საიდგან გაჩნდა... ეს ნაპერწკალი სულია იმ მანქანისა! ნურაფერს უკაცრავად-კი, ქეთევან, და ქალები სულ აგრე ხართ გაჩენილები... ციცი მავთული, უსულო და გრძნობა-მოკლებული ხე... ბოლოს, ერთს მშვენიერს დღეს, პატივის-მოყვარეობა იქნება, სიბრალული, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებმა ხელი შეუწყო. სიმინდის ფასის აწევამ ბევრი გაამხნევა და მრავალი წასრულს წლებს საბალახოდ დატოკებული ადგილი იქმნა დათესილი. მაგრამ მიუხედავად ყოველ ამისა უნდა ვსთქვათ, რომ ბევრს სიმშილიც აწუხებს, რადგანაც სიმინდის ფასმა თან-და-თან აიწია. არამც თუ ჩვენს სოფელშია მარტო სიმშილობა, არამედ მთელს სამეგრელოშიაც იშვიათი საპოვნელია ისეთი ოჯახი, რომელიც ჭინახსოს არ ყიდულობდეს. ღვინოს წელს ბლომად მოველით, განსაკუთრებით „იზაბელისას“. იზაბელას ისე კარგად ასხია, რომ თუ-კი ღმერთმა უყლისად გვაჩუქა, ვგონებთ, ახალს ჭურჭელს მოგვაძებნინებს. არც ჩვენებურმა ვაზმა გვიდალატა ე. ი. „სვანურმა“, რომლისაგანაც ამ თხუთმეტიოდე წლის წინად განთქმული ოჯალეშის ღვინო იწურებოდა. მაგრამ გვეშინიან, არ დაგვინაცროს.

ქურდობა და ავაზაკობა მატულობს, თორემ კლებით-კი არა კლებულობს. ამ თვეის უკანასკნელს რიცხვებში ერთს აქაურს მცხოვრებს მ. კო—�s თავის ეზოდამ მოჰპარეს ერთი ცხენი და ჯერ-ჯერობით ვერ აღმოუჩენია. სხვა-და-სხვა მოარულმა და ავადყოფობამ ლამის მთლად აგვიკლოს.

*** სოფ. ᲨᲐᲠᲔᲯᲘᲡ. ერთი შემაძრწუნებელი კაცის კვლა მოხდა ᲩᲕᲔᲜ-ᲨᲘ. აი საქმე როგორ იყო: ავკაცებმა შეამჩნიეს ფული ერთს გლეხთაგანს, გვარად ფხალაძეს, და მოინდომეს მისი გაძარცვა. შუალამე იქნებოდა, როდესაც სახლის კარი დაურაზუნეს. გლეხი უცოლ-შვილო იყო და შინ მხოლოდ ერთი მოხუცებული დედა ჰყავდა. ავაზაკებმა დაარაზუნეს, თუ არა, მოხუცებულმა იფიქრა: უთუოდ ვინმე მგზავრი იქნებაო, წამოდგა და კარის გასაღებად გაეშურა. შვილმა ბევრი უშალა, მაგრამ დედამ არ გაუგონა. როდესაც კარი დაღო, შემოცვივდა ოთხი თავით ფეხამდე შეიარაღებული ავაზაკი. შვილმა დაინახა თუ არა, შეატყო, რომ ესენი ავაზაკები არიანო, და გარეთ გამოქცევა დაუპირა. ავაზაკებმა იფიქრეს: ფული სწორეთ ამას მიაქვსო, დაეწივნენ, უწყალოდ გამოუფშვეს და მაშინვე სულიც განუტევეს. განსვენებულის მეზობელმა თუმცა შეიტყო და ყვირილიც მორთო, მაგრამ ავაზაკები დამუქარნდნენ, შენც მოგკლავთო, და ძალად გაჩუმეს. მერე შეივდნენ სახლში, გლეხის მოხუცებული დედა ცხრაგან დასჩრეს ხანჯლით და აწამეს, მაგრამ მაინც ვერ ათქმევინეს, სადა ჰქონდა განსვენებულს ფულები შენახული. ქურდები ხელ-ცალიერები გაიქცნენ. იმ გლეხს ისი თუმანი ბანკში ჰქონოდა შეტანილი და ამბობენ, რომ ასიც მიწაში ჰქონდა დამარხულია. განსვენებული თურმე ძალიან ხელმოჭერილი იყო. რასაც-კი შოულობდა, არაფერს ხარჯავდა. მეორე დღეს განსვენებულის დაჭრილმა დედამ გამოაცხადა, რომ ის ავაზაკები ჩვენი მეზობლები, ესადა-ეს კაცები იყვნენო გამოძიება სწარმოებს.

*** იქადმეკ: არ იქნა და არა, ქურდ-ბაცაცობა პერევისში არ მოიხსო, ყაჩაღები ყოველს ღამეს კარზედ გვადგანან და ყოველს საათს სიკვდილს მოველითო. ამას წინად სოფლის ბიეები სოკოზედ დადიოდნენ ტყეში და ცხრა შეიარაღებული ყაჩაღი ენახათ. ორი მათგანი იქვე ახლო სოფლის მცხოვრებელი ყოფილიყო, ერთი უ—ძე, რომელიც ჯარის-კაცობისაგან გამოიქცა, და მეორე ც—ძე. როდესაც ამბავი მოიტანეს სახლში, ხეევისთავებმა პირობა დასდეს, რომ უთუოდ ის ცხრავე დავიჭიროთ და შეკრულ-შებოჭილი გავგზავნოთო, მაგრამ ჯერ ნამდვილად შევიტყოთ, ისინი იყვნენ, თუ არაო. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი ქართული ანდაზა: ᲭᲧᲐᲜᲐ ᲙᲐᲢᲐ ᲗᲐᲒᲒᲘ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲗᲡᲝ... სწორედ ისე მოსდით ჩვენს ხეევისთავებს. ვიდრე ისინი ავაზაკების ვინაობას დაწვრილებით შეიტყობდნენ, მანამ ის ავაზაკები სათითრეთში გადავლენ კიდეც.

*** ᲐᲡᲮᲐ-ᲡᲕᲜᲐᲒᲘ: 21 ამ თვეისას მოქალაქეთა კრება იყო დანიშნული. კრებას მიჰმართა მაზრის უფროსის თანაშემწემ და სთხოვა, თუ დაბის წარმატება გინდათ, ჩვენს სამოქალაქო სკოლას მიეცეთ შემწეობა, რომ მუსიკის სწავლება შემოიღოს, როგორადაც ფოთსა ოზურგეთში შემოიღესო. ამავე დღეს შეუდგნენ ფულის შეგროვებას მუსიკისათვის. ამ კეთილს საქმეს ჩვენი საზოგადოება დიდის თანაგრძნობით მიეგებება და შეძლებისადაგვარად შემწეობასაც აძლევს.

*** საკვირველს „სიჩქარეს“ იჩენს ხანდისხან ფოსტა-ტელეგრაფის უწყება ჩვენს მხარეში. შეიძლება აქედამ გაგზავნილმა წერილმა ინდოეთი მიმოიაროს და ისევ ტფილისში მოვიდეს, ვიდრე იმავე დროს განმავლობაში აქედამ გაგზავნილი წერილი ბაქოს მიაღწევდეს.

ამის მაგალითებს დღეს გაზ. „ტ. ᲓᲐᲚᲘᲢᲝᲒ“-ი იუწყება: თებერვლის 7 რიცხვს ტფილისის ფოსტისათვის ჩაუბარებიათ წერილი ვიდაც ს—ს სახელობაზედ ბაქოში გასაგზავნად, ხოლო მისვლია ამა ივლისის თვეის 3 რიცხვს. ამას ამტკიცებს კონვერსტზედ დასმული საფოსტო ბეჭდებიც გაზეთი ამბობს, რომ წერილის პატრონი საჩივარს აძლევს საფოსტო უწყებაზეო.

*** 26 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲜᲬᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲪᲝᲪᲮᲚᲘ ᲐᲕᲓᲝᲗᲘᲐ ᲡᲚᲢᲝᲕᲘᲡᲐ ᲬᲐᲠᲩᲔᲑᲐ ᲡᲝᲤ. ᲡᲕᲔᲚᲘ ᲛᲪᲮᲝᲠᲕᲔᲚᲔᲡ ᲐᲜᲜᲐ ᲒᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲬᲘᲤᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ. ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲐ ᲓᲐᲗᲔᲡᲘᲚᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲪᲮᲝᲠᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲡᲬᲠᲔᲡ ᲮᲐᲜᲯᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲬᲐᲛᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲔᲠ ᲐᲗᲥᲛᲔᲕᲘᲜᲔᲡ, ᲡᲐᲓᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲣᲤᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲜᲐᲮᲣᲚᲘ. ᲥᲣᲠᲓᲔᲑᲘ ᲮᲔᲚ-ᲪᲐᲚᲘᲔᲠᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲥᲪᲜᲔᲜ. ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲘᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ ᲑᲐᲜᲯᲨᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲬᲐᲨᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲠᲮᲣᲚᲘᲐ. ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲮᲔᲚᲛᲝᲭᲘᲠᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲠᲐᲡᲐᲪ-ᲙᲘ ᲨᲝᲣᲚᲝᲑᲓᲐ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲮᲐᲠᲯᲐᲕᲓᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲛᲐ ᲓᲔᲓᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲐᲕᲐᲖᲐᲙᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲘ, ᲔᲡᲐᲓᲐ-ᲔᲡ ᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜᲝ ᲒᲐᲛᲘᲫᲔᲑᲘᲐ ᲡᲬᲠᲐᲛᲝᲑᲓᲐ.

*** ᲐᲡᲮᲐ-ᲡᲕᲜᲐᲒᲘ: 21 ᲐᲛ ᲗᲕᲔᲘᲡᲐᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ. ᲙᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲰᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲣᲛᲘ ᲓᲐ ᲡᲗᲮᲝᲕᲐ, ᲗᲣ ᲓᲐᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲒᲘᲜᲓᲐᲗ, ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲡ ᲛᲘᲪᲔᲗ ᲨᲔᲛᲬᲔᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲝᲘᲦᲝᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲐᲓᲐᲪ ᲤᲝᲗᲝᲡᲐ ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲘᲦᲝᲡ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲨᲔᲣᲓᲒᲜᲔᲜ ᲤᲣᲤᲚᲘᲡ ᲨᲔᲒᲠᲝᲕᲔᲑᲐᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲐᲛ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲗᲐᲜᲐ�გᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲔᲒᲔᲑᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲘᲡᲐᲓᲐᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲨᲔᲛᲬᲝᲛᲐᲡᲐᲪ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ. ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲘᲡ ᲗᲣᲛᲪᲐ ᲨᲔᲘᲢᲧᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘᲪᲕᲘᲗᲐ ᲓᲐᲬᲧᲔᲚᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲣᲓᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲨᲕᲔᲑᲓᲐ. ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲘᲡ ᲗᲣᲛᲪᲐ ᲨᲔᲘᲢᲧᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘᲪᲕᲘᲗᲐ ᲓᲐᲬᲧᲔᲚᲐ, ᲛᲐᲜᲐᲛ ᲘᲡ ᲐᲕᲐᲖᲐᲙᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲐᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲔᲡ. ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲓᲕᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲝᲡ ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘ. ᲛᲐᲡᲘᲜ ᲘᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ ᲑᲐᲜᲯᲨᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲨᲘ ᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲠᲘᲪᲮᲔᲑᲝᲓᲐ „ᲡᲔᲠᲮ-ᲨᲔᲢᲐᲜᲘ ᲩᲘᲜᲝᲕᲜᲘᲙᲐᲓ“. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲛᲘᲪᲓᲔᲚᲘᲛᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲑᲨᲘ, ᲨᲔᲜᲔᲓᲣᲚᲘᲡ ᲮᲚᲘᲡ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲛᲝᲓᲣᲚᲘ ᲡᲐᲧᲐᲠᲐᲣᲚᲝᲓ. ᲠᲘᲒᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲬᲘᲪᲔᲑᲓᲜᲔᲓᲜᲔ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔ ᲓᲐᲣᲗᲔᲒᲐᲠᲘᲔᲚᲝᲡ ᲘᲐᲠᲐᲦᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲰᲔᲜᲘᲨᲜᲝᲡ ᲛᲐᲗᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲐᲠᲔᲑᲘᲡ.

ᲓᲦᲔᲒᲐᲜᲓᲚᲐᲛᲓᲔ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲘ ᲐᲠᲐ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ ᲧᲐᲠᲐᲣᲚᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲣᲛᲐᲚᲚᲔᲡᲘᲡ ᲛᲝᲐᲕᲝᲑᲝᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲢᲘᲐ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲣᲧᲔᲜᲝᲗ. ᲑᲐᲜᲯᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲐᲠᲐᲣᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲧᲔᲜᲝᲗ; ᲘᲛᲘᲓᲔᲘᲐ, ᲔᲡ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲜᲐᲮᲐᲠᲘᲐ.

ᲓᲐᲑᲐ ᲮᲝᲤᲔᲚᲘ

(ᲛᲝᲬᲧᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ)

ᲭᲐᲠᲔᲚᲘ (ᲒᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ), 25 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ. ᲐᲛ ᲗᲕᲔᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲠᲓᲔᲑᲘᲗ Ბ-Ნ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲭᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲐ ᲛᲝᲗᲐᲠᲘᲛᲝᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘᲡ ᲘᲐᲡᲝᲜ ᲖᲜᲔᲠᲣᲚᲘ. Ი. ᲖᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲩᲐᲮᲓᲔᲓᲐ ᲭᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲨᲘᲒᲜᲐ ᲛᲝᲗᲐᲠᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲣᲛᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲛ ᲗᲕᲔᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲡ ᲤᲘᲪᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ. ᲤᲘᲪᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲐᲓᲐᲛ ᲑᲝᲭᲐᲥᲝᲜᲘᲡ ᲑᲝᲠᲘᲡᲝᲕᲘᲡ, ᲠᲐᲪ-ᲙᲘ ᲨᲝᲣᲚᲝᲑᲓᲐ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲮᲐᲠᲯᲐᲕᲓᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲛᲐ ᲓᲔᲓᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲐᲕᲐᲖᲐᲙᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜᲝ. ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲗᲕᲔᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲛᲝᲛᲐᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲗᲝ...

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ. ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲮᲛᲐ ᲒᲘᲗᲮᲐᲠᲘ, ᲩᲔᲜᲓᲐ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡᲐᲓ ᲛᲖᲐᲓᲐ ᲕᲐᲠ-ᲛᲔᲗᲕᲘ...

ᲜᲐᲙᲕᲔᲠᲩᲮᲔ. ᲨᲔᲜᲘ ᲘᲛᲘᲦᲐ ᲓᲐᲛᲘᲓᲐ, ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘ ᲒᲘᲗᲮᲐᲠᲘ, ᲠᲐᲠᲐᲚᲐᲪ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲥᲕᲡ...

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ. ᲔᲮᲚᲐᲕᲔ ᲬᲐᲕᲐᲚ.

ᲜᲐᲙᲕᲔᲠᲩᲮᲔ. (ᲩᲣᲛᲓᲐ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘᲡ) ᲗᲣ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲒᲬᲐᲛᲔ, ᲩᲐᲠᲐ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲗ!

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ. (ᲩᲣᲛᲓᲐ ᲘᲒᲘᲚᲘᲡ) ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲬᲧᲜᲐᲚᲣᲚᲮᲐᲠ!

ᲜᲐᲙᲕᲔᲠᲩᲮᲔ. (ᲩᲣᲛᲓᲐᲕᲔ) ᲮᲛᲐ ᲒᲘᲗᲮᲐᲠᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲒᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲕᲝᲠᲘᲗᲐᲠ ᲛᲔᲑᲜᲔᲕᲐᲠ-ᲛᲔᲗᲕᲘ.

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ. (ᲩᲣᲛᲓᲐ) ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲡ ᲛᲘᲰᲛᲐᲠᲗᲔᲗ.

ᲜᲐᲙᲕᲔᲠᲩᲮᲔ. (ᲩᲣᲛᲓᲐ) ᲙᲐᲠᲒᲘᲐ, ᲙᲛᲐᲠᲐ.

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ. (ᲩᲣᲛᲓᲐ) ᲑᲣᲜᲔᲑᲐ?

ᲜᲐᲙᲕᲔᲠᲩᲮᲔ. (ᲩᲣᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲑᲐ) ᲗᲣ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲒᲬᲐᲛᲔ, ᲩᲐᲠᲐ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲗ!

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲗᲮᲠᲘᲗ ᲛᲘᲗᲮᲠᲘᲗ ᲗᲣ ᲠᲐᲠᲐᲚᲐᲪ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲥᲕᲡ...

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ. ᲩᲔᲚᲐᲕᲔ ᲬᲐᲕᲐᲚ.

ᲜᲐᲙᲕᲔᲠᲩᲮᲔ. (ᲩᲣᲛᲓᲐ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘᲡ) ᲗᲣ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲒᲬᲐᲛᲔ, ᲩᲐᲠᲐ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲗ!

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ. (ᲩᲣᲛᲓᲐ ᲘᲒᲘᲚᲘᲡ) ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲬᲧᲜᲐᲚᲣᲚᲮᲐᲠ!

ᲜᲐᲙᲕᲔᲠᲩᲮᲔ. (ᲩᲣᲛᲓᲐ) ᲮᲛᲐ ᲒᲘᲗᲮᲐᲠᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲒᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲕᲝᲠᲘᲗᲐᲠ ᲛᲔᲑᲜᲔᲕᲐᲠ-ᲛᲔᲗᲕᲘ.

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ. (ᲩᲣᲛᲓᲐ) ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲡ ᲛᲘᲰᲛᲐᲠᲗᲔᲗ.

ᲜᲐᲙᲕᲔᲠᲩᲮᲔ. (ᲩᲣᲛᲓᲐ) ᲙᲐᲠᲒᲘᲐ, ᲙᲛᲐᲠᲐ.

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ. (ᲩᲣᲛᲓᲐ) ᲑᲣᲜᲔᲑᲐ?

ᲜᲐᲙᲕᲔᲠᲩᲮᲔ. (ᲬᲣᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲑᲐ) ᲗᲣ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲒᲬᲐᲛᲔ, ᲩᲐᲠᲐ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲗ!

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ. (ᲩᲣᲛᲓᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგეხსენებათ, ხალხის ამბავი: სოფელმა ხან იქით იგრიალა, ხან აქეთ და ბოლოს სთქვეს, დაგვაცალეთ კარგად ვიფიქრებთ და შემდეგს კრებაზედ გეტყვით ჩვენს პასუხსაო.

ეს ამბავი ფრიად სასიამოვნო ამბავია, რადგან დიდი ხანია, რაც შეწუხებულნი ვართ ქურდ-ბაცაცებისაგან. არ შეიძლებოდა კლიტეს გარედ დაგეტოვებინათ რამე. ღამე ისე არ გაეიდოდა, რომ ან ერთი ოჯახი არ გაეძარცვნათ და ან მეორე. ეხლა-კი, ღვთის წყალობით, ცოტა შეეისვენეთ.

ჩვენსკენ ძლიერ კარგი ჰირნახულია, მშვენიერი სიმინდი, და ყურძენი ხომ იმდენია, რომ, მგონი, ვერც-კი მოვერიოთ, თუ ქარმა არ დაგვიღუბა. დღე არ გავა ისე, რომ წვიმა არ იყოს. ავადმყოფობა ისე არ არის ჩვენში გავრცელებული, როგორც სხვა ახლო-მახლო სოფლები უჩივიან. დიდი მადლობელი ვართ ექიმის ბ-ნ ბახტაძისა, რომელიც ყოველ ორშაბათობით ამოდის და ავადმყოფებსა ჰსინჯავს.

ი. ლ. გაზერელია

სოხუმიდგან ახალ ათონამდე

(მგზავრის შენიშვნები)

(შემდეგი, იხ. „ივერია“ 157)

ამ ეკლესიაში შევედით, წირვა იდგა და ბარე ორმოცამდე რუსი ქალი და კაცი მოსულიყო სალოცავად. როგორც მერე შევიტყე, ესენი რიაზანის გუბერნიიდგან იყვნენ მოსულნი. ისე არ ჩამოვლის თურმე გემი რუსეთიდგან, რომ ორმოცი ან სამოცი მლოცავი არ გადმოსხას მონასტრის ნავთ-სადგურზედ. ეს მონასტერი სასწავლებელსაც არ არის მოკლებული. სასწავლებელი მოთავსებულია ეკლესიის ზემოდ, ორ-სართულიან შენობაში და აქა სწავლობს ყოველ წლივ ოცამდე გაქრისტიანებულ აფხაზის ობოლი და ან კიდევ ის, ვინც გაქრისტიანების სურვილს გამოაცხადებს. თვით ბერები ასწავლიან რუსულს წერა-კითხვას, გრამატიკას, ანგარიშს, საეკლესიო გალობას, ბაღოსნობას, ღვინის დაყენებას, აბრეშუმის მოყვანას და სხვა-და-სხვა ცხელ ქვეყნის მცენარეების მოვლას. სასწავლებლის ქვემო სართულში მონასტრის სამკურნალოა მოთავსებული. ეს შენობა თავისის სიფართოთი ჭ მდებარეობით მონასტრის ყველა შენობასა სჯობია.

ახალ ათონის მონისტერს აქვს აგრეთვე თავისი საკუთარი, ახალს გეგმაზედ გაშენებული ვენახები, რომელსაც 24 დღიური მიწა უჭირავს. აქვე აქვთ გაკეთებული დიდი მარანი, თავისის შესაფერის საწნახელით, სადაც თვით ბერები აყენებენ ღვინოს. სასწავლებლიდგან ნახევარ ვერსის სიშორეზედ წმ. მოკ. სიმონ კანანელის ეკლესიაა. ეს ეკლესია, როგორც ხალხური ზეპირ-გადმოცემა ამბობს, აშენებულია მეოთხე საუკუნეში სწორედ იმ ალაგას, სადაც სიმონ კანანელი არის დაფლული. ეკლესია თლილის ქვით არის ნაშენი და მონასტერის ყველა ეკლესიაზედ დიდი. შიგნით ეკლესიას მუხის კანკელი აქვს, ხელოვნურის ჩუქურთმით დაჭრილებული. ამ ეკლესიას წინა აქვს მარმარილოს აუზი და შუაზედ კიდევ მარმარილოსივე მაღალი ჯვარი. ამ ჯვრის სამივე კუთხიდგან, ანუ ნაპირიდგან შადრევანივით გადმოდის მშვენიერი წყაროს წყალი. მლოცავნი რაღაცა ძალას აწერენ ამ შადრევანს და ამბობენ, რომ, ვინც სასოებით ილოცავს და ამ წყალს დაჰლევს, ყველა სენისაგან განიკურნებაო.

მაგრამ ყველა ეს რა არის იმ ბუნებით მდიდარსა და გასაოცარს ფსირცხას ანუ ტრახეის ხეობასთან და ფსირცხას მდინარესთან, რომელიც აქვე, სიმონ კანანელის ეკლესიის გვერდით, ხუთის საეენის სიმაღლიდგან საშინელის ხმით გადმოდის დაბლა. ამ ჩანჩქერის ხმას კაცი ორმოცის საეენის სიშორეზედ გაიგონებს და ცოტას გაიელის თუ არა თითქო მოწმენდილ ციდგან სწვიმსო, ისე დაჰყუჩებს დაბლა წყლის წინწკლებს. ერთის სიტყვით, ჩანჩქერის ახლო ძალიანაც რომ უყვიროს კაცმა კაცს, ვერას გააგონებს. ეს ჩანჩქერი ბერებს გაუკეთებიათ. იმ ალაგას, საცა ეხლა ჩანჩქერია, ფსირცხას ხეობა თავდება; ისეთი ვიწროა ეს ალაგი, რომ ათს საეენზედ მეტი სიგანე არა აქვს. ბერებს წინ კედელი აუშენებიათ თლილის ქვისა, სამის არშინის სიგანე და ხუთის საეენის სიმაღლე და დაბლა დაუტანებიათ წყლის გასავალი კარები, რომელიც ისეა მომართული, რომ თუნდა დაიკეტება, თუნდა გაიღება. ამ ხეობაზედ მოდის მდინ. ფსირცხა, რომელსაც ამ კედლის წინ დიდი ხუთის საეენის სიღრმე მორევი აქვს და მერე ამ სიმაღლიდგან კედელზედ ვაი უშველებელითა გამოდის და დაბლა უფსკრულში იკარგება.

მარცხნივ გაკეთებულია მაღალი კიბე, რომელზედაც კაცს შეუძლიან ავიდეს და მაღლიდგან დაჰხედოს ჩანჩქერს. ამ ჩანჩქერიდგან რუსხმელითი წყალი გაყვანილია მონასტრის წისქვილში, რომელიც თავისის მომართულობით შესანიშნავია და რომელსაც საქართველოს ვერც ერთი წისქვილი ვერ შეედრება.

(დასასრული იქნება)

რუსეთი

მოვიდა თუ არა საფრანგეთის ესკადრა პეტერბურგში, გერმანიის გაზეთებმაც დაიწყეს ამ ამბის საპოლიტიკო მნიშვნელობის განმარტება და სცდილობდნენ ხალხი დაერწმუნებინათ, ისე არა წვიმს, როგორცა ჰქუხსო. პეტერბურგელი კორესპონდენტი „Kolnische Zeitung“-სა, მაგალითად, სწერს, რომ ზოგიერთი თვით რუსეთის გაზეთიც ჰკიცხავს მეტისმეტს გატაცებას რუსებისის და მათს უზომო აღტაცებასაო. გაიელის პატარა ხანი, რუსები გამოფხიზლდებიან და შეიგნებენ თავისს შეცდომასაო. „Frankfurter Zeitung“-ი უფრო სხვა ნაირადა სჯის: „გერმანიის ზოგიერთი გაზეთი ტყუილად იხუჯობს საფრანგეთის ესკადრის დახვედრის გამო კრონშტადტსა და პეტერბურგში და და ტყუილად ადარებს ამ დახვედრას უბრალო ქეიფსა. ესეთი ქცევა გაზეთებისა სხვა არაფერს ნაყოფს არ მოიტანს გარდა იმისა, რომ რუსეთთან საქმეს წაიხდენენ. „National Zeitung“-ი უარ-ჰყოფს განსაკუთრებულს საპოლიტიკო მნიშვნელობას კრონშტადტში საფრანგეთის ესკადრის დახვედრისას და ამბობს, რუსეთის მთავრობა ძლიერ მშვიდობის მოყვარეა და თუ საფრანგეთი მიიმხრო, მიიმხრო მხოლოდ იმიტომ, რომ განცალკევებულს საფრანგეთს უდროოდ არა გარდაეწყვიტა-რა და რუსეთი ომში ჩაეთრიაო. რაც შეეხება ინგლისის ჟურნალ-გაზეთებს, ისინიკი ამბობენ, რომ საფრანგეთის ესკადრის პეტერბურგში მისვლასა და რუსეთის მიერ იმისს დიდის ამბით მიღებასა და დახვედრას თავისი საპოლიტიკო მნიშვნელობა აქვსო; მაგალითად „Standard“-ი სწერს, რუსებმა მხოლოდ საპოლიტიკო მოსაზრებათა გამო გამოიდეს თავსა და იმიტომ გამოიჩინეს გადაპარებული მასპინძლობა საფრანგეთის ესკადრისადმი: „ეს ამბავი რომ ერთის ან ნახევარის წლით ადრე მომხდმრიყო, მაშინ სულ სხვა საქმე იქნებოდა, ხოლო ეხლა-კი იგი პირდაპირი პასუხის გაცემაა სამთა კავშირის აღორძინებისა გამო. ყველა დარწმუნებულია, რომ რუსეთსა და საფრანგეთს შორის არავითარიმე წერილობითი ხელშეკრულობა არა არის-რა, მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვს, რუსეთი არ დააყოვნებს და ამ ხელშეკრულობასაც გააჩენსო. ამასთანავე „Standard“-ი ამტკიცებს, რომ, თუ რამ სახეირო გამოვა ამ კავშირიდგან, რუსეთისთვის გამოვა და არა საფრანგეთისათვისო. დაბოლოს გაზეთი ამბობს, როგორ გაჰბედა და დაუმეგობრდა საფრანგეთი რუსეთსა, რომელიც ბარბაროსთა ქვეყანაა, დასავლეთი ევროპა სძულს და განსაკუთრებით საფრანგეთის კულტურაო. „Daily Telegraph“ და „Morning Post“-ი ჰფიქრობენ, რომ საფრანგეთისა და რუსეთის დახლოვება საშიშო არ არის, ეს დაახლოვება არავის მუქარის გამო არ მომხდარა, რუსეთი კვლავ აუჩქარებლად მოიქცევა და ფორმალურად არ დაეკავშირება საფრანგეთსაო. ინგლისი თანაუგრძნობს შუა ევროპის სახელმწიფოებს მხოლოდ მშვიდობის მოყვარეობისა გამო და არა იმიტომ, რომ საფრანგეთის წაკიდება ჰსურდეს. ინგლისის მეგობრობა სამთა კავშირთან დამყარებულია მხოლოდ საერთო სარგებლობაზე. ამიტომაც ინგლისი ამ მეგობრობისა გამო არც ერთს სხვა სახელმწიფოს არ წაეკიდება და არც თავისს აწინდელს მეგობრულს ურთიერთობას დაჰშლის საფრანგეთისა და რუსეთთანაო. „Daily News“-ი ურჩევს ინგლისელებს, თქვენ რუსებზე უკეთესად უნდა დაუბვდეთ სიფრანგეთის ესკადრასაო. ჯერ რომ გერმანიის იმპერატორი იყო პორტსმუტში და ამას საფრანგეთის ესკადრის მოსვლა მოჰყვება, ეს გარემოება კარგი შემთხვევაა ჩვენთვის, რომ ხმელეთის სახელმწიფოებს ჩვენი მიუკერძველობა დავუმტკიცოთო.

„Reichsbote“ და ვენის გაზეთი „Neue Wiener Tagblat“-ი ჰფიქრობენ, რომ კრონშტადტში მომხდარი ამბავი ვერ შესცვლის აწინდელს ურთიერთობას რუსეთისა და საფრანგეთისასაო: რუსეთმა იმიტომ გამოიდო თავი და იმიტომ აღელვდა, რომ სამთა კავშირი კვლავ აღორძინდა—რუსეთს ეწყინა, რადგან ამ კავშირის აღორძინება სხვას არას ნიშნავს, გარდა იმისა, რომ არა სჯერათ მისი (რუსეთის) მშვიდობიანობის მომხრეობა. მაგრამ ეს-კია, რომ რუსეთი მალე დასცხრება აწინდელის აღელვებისაგან და ისევ ძველს გუნებაზე დადგება. „ბევრჯელ უნდოდათ საფრანგეთისა და რუსეთს დაახლოვება—1808 წელსაც ტილზიტსა და ერფურტში, 1830 და 1857 წლებშიაც, მაგრამ ვერც ერთხელ ვერა მოახერხეს-რაო“.

სულ სხვა ნაირად ლაპარაკობენ საფრანგეთის გაზეთები ამავე საგნის შესახებ. გაზეთი „Temps“-ი შემდეგსა სწერს: „კრონშტადტში საფრანგეთის ესკადრას ისეთის დიდის ამბით დაუხვდნენ, რომლის მსგავსიც ჯერ არა გაგონილა-რა. შესაძლებელია, ამ ნაირი რუსეთის მიერ ჩვენდამი გამოცხადებული თანაგრძნობა ბევრმა ჯეროვანად ვერ ახსნას. ვინც მხოლოდ გრძნობათა პოლიტიკის მიმდევარია, მათთვის კრონშტადტის ამბავი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ და რუსეთი დაავკავშირებულვართ. მათის აზრით, ეხლა რუსეთის საქმე და საფრანგეთისა ერთი და იგივეა. ხოლო აწინდელი მდგომარეობა ევროპისა ნათლად უხატავს ყველას, ვისაც-კი დაფიქრება არ ეზარება, რა მნიშვნელობაცა აქვს საფრანგეთის ესკადრის მისვლას კრონშტადტში. საფრანგეთსა და რუსეთს შორის არავითარიმე

მარიკო. ეგეც არ იცის, მე მშვიდი და ტურფა სახე სულაც არა მაქვს... მაგას თქვენ ქეთევანის შესახებ სწერთ... სწორედ ის არის მაგითი... იმას უყვარს მშვიდი...

ნაკვერჩხ. თქვენა, მარიკო... თქვენ როგორი-ღა გიყვართ?..

მარიკო. რა ხმითა ეკითხავთ! ხა-ხა-ხა! სწორედ ისე, როგორც წეღან მამასახლისი მეღრიჯგბოდა!

ნაკვერჩხ. (იქით) ჰმ, მამასახლისო!.. ეს-ღა მაკლდა... (ხმა-მაღლა) მაინც?

მარიკო. აბა რა ვიცი, ჯერ ერთი, სიყვარული რა არის? მართლა, აბა მითხარით, რა არის სიყვარული?

ნაკვერჩხ. განა შესაძლებელია, რომ არ იცოდეთ, არ გესმოდეთ?!

მარიკო. არა, ვიცი... ყმაწვილი ხომ არა ვარ... მაგრამ ის მინდა გავიგო, როგორ შეატყობთ ხოლმე... სიყვარულს როგორ გამოიცნობთ ხოლმე...

ნაკვერჩხ. აი, მაგალითებრ, ვთქვათ, თქვენი კოცნა მოვინდომე... თქვენ რას მეტყვით?

მარიკო. რას გეტყვით? ლოყას მოგიშვერთ და გეტყვით, „მაკოცეთ“-მეთქი.

ნაკვერჩხ. (დაკვირი დაუნეკვ) აი, მარტო ეგ ამტკიცებს, რომ არავინ გყვარებიათ.

მარიკო. საიდგან სადაო?

ნაკვერჩხ. თუ ქალს არავინ უყვარს, იმისთვის კოცნა არაფერს ჰნიშნავს, გინდა „გამარჯობა“, ან „მშვიდობით“ გითქვამთ, გინდა გიკოცნიათ, სულ ერთია. არაფრად მიაჩნია, თუნდა ამ კაცმა აკოცოს, თუნდა იმ კაცმა. ისეთი კაცი არ არის, რომლის დანახვაზედ გული შეუტოკდეს და დაიძახოს: ის არის, ისაო! უდარდელია, მხიარული, ყველგან და ყველასთან იცინის, ხარხარებს... თქვენსავით...

მარიკო. ჩემსავით... როცა უყვარს?

ნაკვერჩხ. როცა უყვარს... კი აღარ იცინის, ტირის და მაინც უყვარს, ასეთი ბედნიერი რადა ვარო... ჰღელავს, სწუხს, იტანჯება, მაგრამ მაინც-კი სიცოცხლეს ჰგრძნობს, ტკბილსა და ნეტარს სიცოცხლეს... ვიდაცა ეგულება, რომელსაც ერიდება კიდეც და ეძებს კიდეც, ეძახის კიდეც და გაუბის კიდეც, რომელიც ფიქრიდგან ვერ მოუშორებია, გულიდგან ვერ ამოუგლეჯია, სიზმრადაც-კი ის ელანდება...

მარიკო. (სკამზედ წამოჯდება) მერე, მერე?.. ეგ კარგი ამბავია!

ნაკვერჩხლ. (სკამს უკან დადგება) როცა იმასთან არ არის, მაშინ უფრო თავისთან ახლო ჰგონია... სულ ის უნდა, რომ იმის შესახებ ილაპარაკოს... მაგრამ ვერა ჰბედავს. ასე ჰგონია, არ აფასებენ, საკმაოდ არ აქებენო, თითონ-კი ჰკიცხავს, რომ თავისი სიყვარული არავის შეამჩნევინოს და თავისს თავსაც-კი დაუფაროს ეს საიდუმლო.

მარიკო. (ჩაფიქრდება) მერე...

ნაკვერჩხ. (გაკვრდი მოუჯდება) თუ ის იქ არის, სადაც თითონ, არ უყვარებს, მაგრამ ჰხედავს-კი... ყურს არ უგდებს, მაგრამ ესმის-კი იმის ლაპარაკი... თუ მოუახლოვდა-და, წამოწითლდება... თუ დაელაპარაკა, გული სულ ჩქროლვასა და ცემას დაუწყებს.. თუ ხელი დაუჭირა, ქალს ასე ჰგონია, მთელი ჩემი არსება იმას გადაეკონაო... მაკოცნინეო, რომ სთხოვოს, თითონვე უნდა გაჰბედოს და აკოცოს, თორემ ქალი სირცხვილით არასოდეს არ დასთანხმდება. ეხლა-კი დავიმსახურე თქვენი კოცნა და მეკუთვნის კიდეც... (მოუახლოვდება).

მარიკო. (წამოდგება) არა, არ იქნება.

ნაკვერჩხ. (იქით) ნაპერწკალია, ნაპერწკალი.

მარიკო. (გადასხარხარებს) ხა-ხა-ხა!

ნაკვერჩხ. (გაოცებულია) მარიკო!..

მარიკო. მაშ მეცა მყვარებია, ხა-ხა-ხა!

ნაკვერჩხ. თქვენა?

მარიკო. დიად, პანსიონში... უფროს კლასის ყველა მოწაფეები ქართულ სიტყვიერების მასწავლებლისთვის გაგიჟებულები ვიყავით... მერე რა მახინჯი იყო, რომ იცოდეთ... ის ფიქრადაც ვერ წარმოიდგენდა.

ნაკვერჩხ. (მოუახლოვდება) კარგი, მაგრამ...

მარიკო. (გაკვირდება) არა, არა! სწორედ სიყვარული იყო... სწორედ ის იყო, რასაც თქვენ ამბობთ, ეხლა მაგონდება. (ხარხარებს) ის მასწავლებელი სრულიად მელოტი იყო, ამიტომ იმის ქუდს ვაჭრიდით ხოლმე ბეწვებს და ყელის ჯაჭვში ვინახავდით (ხარხარებს).

ნაკვერჩხ. გამიგონეთ ერთი-და...

მარიკო. ოჰ, აგერ, მამიდაჩემიც მოდის!

ნაკვერჩხ. (იქით) მეტად ბევრს იცინის!

მარიკო. (იქით სახარულითა და გაოცებით) მე ვუყვარვარ!

სცენა VI

იგინივე და ქეთევანი

ქეთევანი. მარიკო! გამგებლის ცოლი გეთხოვს, საკითხავი გამომიგზავნეთ რამეო. ამოურჩიე ორიოდე წიგნი და დედაკაცის ხელით გაუგზავნე...

მარიკო. კარგი, გავუგზავნი რასმე. (მადის დაფიქრებული და იქით) მე ვუყვარვარ! მაშ მამიდა?..

ორ-ანი

(შემდეგი იქნება)

ფორმალური კავშირი და ხელ-შეკრულობა არ არსებობს. რუსეთის პოლიტიკა ინგლისის პოლიტიკას წაგავს და უარ-ჰყოფს, რომ ვისმე საბოლოოდ მიემხროს, შეეკრას პირობითა. რუსეთმა განაცხადა და 1856 წელსაც ნათლად დაამტკიცა, რომ იგი მხოლოდ რუსეთის პოლიტიკას ადგია. ეს პოლიტიკა სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა სახელმწიფოს გამოადგა და დაეხმარა: პარიეის მორიგების შემდეგ — პრუსიას; 1870 წ. შემდეგ და განსაკუთრებით შემდეგ ბერლინის კონგრესისა—საფრანგეთს. ეს იმიტომ, რომ რუსეთს შეუძლიან შუა ევროპის სახელმწიფოთა კავშირს შეეფინდოს და შეაფერხოს მათი ლტოლვა აღმოსავლეთისაკენ. სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა დაკავშირეთან ნელ-ნელა და ჩუმად მოამზადა და გამოიწვია საფრანგეთის რუსეთთან ჭეშმარიტი დაკავშირება, თუმცა არავითარი წერილობითი ხელ-შეკრულობა-კი არა არსებობს-რა მათს შორის. საფრანგეთის ერს შეგნებული აქვს, რომ რუსეთი ნებას არავის მისცემს საფრანგეთის ხელ-ახლად დაუძლურებისას. 1876 წელს ალექსანდრე II-ის ჩარევა საქმეში იმავე მოსაზრებათა გამო მოხდა, რა მოსაზრებითაც ალექსანდრე I ხელმძღვანელობდა 1815 წელსა, როდესაც წინააღუდგა მოკავშირეთა მიერ საფრანგეთის განაწილებას. არსად, არც ევროპასა და არც აზიაში, რუსეთსა და საფრანგეთსა სადავო არა აქვს-რა: ამ ორსავე სახელმწიფოს ერთი და იგივე სურვილი აქვს: მშვიდობიანობა და ტოლობა სახელმწიფოთა შორის. რადგანაც რუსეთი არსად არ ექიშპება საფრანგეთსა, ხოლო საფრანგეთი-კი მშვიდობიანობის დროსაც რუსეთის ძალის გამომხატველია, ამიტომ შესაძლოა ლაპარაკი რუსეთისა და საფრანგეთის კავშირზე. ეს კავშირი უჩინარი კავშირია, მაგრამ ყოველთვისაკი მხედველობაში მისაღები საერთა. შორისო პოლიტიკის დროს. ეს კავშირი უწერილობითია, მაგრამ ყოველთვის-კი არსებობს ევროპის მშვიდობიანობის საკეთილ-დღეოდ.

წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატეტეშეულის გაზეთის სიშუალებით მადლობა გამოუცხადოთ რედაქტორებს: „ნოვოე ობოზრენიისას“, „ტიფლისკი ლისტოკისას“, „ნოვოსტისას“, „რუსკაია ვედომოსტისას“, „სეკერნი ვესტნიკისას“, „შურნალისას“ და „ჟივაიასას“, რომელთაც უსასყიდოდ დუთმეს თავისი გამოცემა მეხეთის საკარო წიგნთსაცავსა და სიმეთისეულისს.

წიგნთ-საცავის გამგეი

ეტეპრბურგის ბირჟა, 23 ივლისი

	მაღალ ფასი.	ბოლოდ ფასი.	ბოლოდ ფასი.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7, 54	7, 57	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	151¹/₄	151²/₄	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	1, 09	1, 12	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	241
—მეორისა	230¹/₄	— ,,	— ,,
—მესამისა	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავადაზნაურთის ბანკის ფურცელი . , , ,	212¹/₄	— ,,	211
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— ,,	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა . .	— ,,	— ,,	— ,,
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— ,,	— ,,	— ,,

მიმოსვლა ცეცლის ზემეგისა შაბს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღეეკის 4 ს